საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და
საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

21/03/2023
N 436

436-09-02-11-3-202303211519

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის

დასკვნა

პაატა ურიადმყოფელის მიერ წარმოდგენილ საკანონმდებლო წინადადებაზე „რეგიონების ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის შესახებ“ (№09/01/08-41; 22.02.2023)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 89-ე მუხლის მე-4-მე-6 პუნქტებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს 2023 წლის 27 თებერვლის №7 გადაწყვეტილების შესაბამისად, 2023 წლის 21 მარტის სხდომაზე განიხილა პაატა ურიადმყოფელის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება „რეგიონების ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის შესახებ“ (№09/01/08-41; 22.02.2023).

I. საკანონმდებლო წინადადების ძირითადი არსი

საკანონმდებლო წინადადების მიზანია:

- საქართველოში და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დაამკვიდროს საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული და აპრობირებული გამოცდილება, როდესაც შედარებით მდიდარი და განვითარებული რეგიონი/მუნიციპალიტეტი მონაწილეობს ნაკლები შესაძლებლობის მქონე რეგიონის/მუნიციპალიტეტის განვითარებაში;
- მსგავსი თანამშრომლობა დაინერგოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა (როგორც განვითარებულ) და შიდა ქართლის (როგორც ნაკლებად განვითარებულ) რეგიონს შორის.

საკანონმდებლო წინადადების ავტორს მიაჩნია, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და შიდა ქართლის რეგიონის თანამშრომლობის ძირითადი სფეროები იქნება - ინფრასტრუქტურის განვითარება, განათლება, მეცნიერება,

კულტურა, სპორტი, ტურიზმი, ეკონომიკური განვითარება, შესაძლებლობების განვითარება და რესურსების გაზიარება.

საკანონმდებლო წინადადების ავტორის მოსაზრებით მის მიერ წარმოდგენილი ინიციატივის განხორციელებას ესაჭიროება დაახლოებით 3 მლნ ლარი, რაც სავარაუდოდ მოითხოვს ასახვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში.

საკანონმდებლო წინადადების ავტორს მიაჩნია, რომ თანამშრომლობის ფორმისა და მასშტაბიდან გამომდინარე, შესაძლებელია საჭირო გახდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცალკეულ კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელებაც, თუმცა საკანონმდებლო წინადადებაში დაკონკრეტებული არაა რომელ სამართლებრივ აქტებში შეიძლება გამოიწვიოს ცვლილებები წარმოდგენილმა ინიციატივამ.

II. კომიტეტის შეფასება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საკანონმდებლო წინადადება არის საკანონმდებლო ინიციატივის უფლების არმქონე სუბიექტის მიერ უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენილი დასაბუთებული მიმართვა ახალი კანონის მიღები, კანონში ცვლილების შეტანის ან კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თობაზე. ამავე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, თუ საკანონმდებლო წინადადება წარდგენილია მოსამზადებელი კანონპროექტის ძირითადი პრინციპებისა ან კონკრეტული წინადადებების სახით და წამყვანმა კომიტეტმა მისაღებად ცნო იგი, კომიტეტი უმაღლესი საბჭოს ბიუროსთან შეთანხმებით, განსაზღვრულ ვადაში შეიმუშავებს კანონპროექტს და რეგლამენტით დადგენილი წესით გადასცემს ბიუროს.

საკანონმდებლო წინადადების ავტორს მიაჩნია, რომ მის მიერ წარმოდგენილი წინადადების განსახორციელებად საჭიროა დამატებითი ფინანსური რესურსები და შესაბამისად ცვლილებები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში.

კომიტეტი განმარტავს, რომ მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციების თანახმად კერძოდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის (მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი), აჭარის ავტონმიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის (84-ე მუხლის მე-3 პუნქტი), „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის (მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი) თანახმად, მხოლოდ აჭარის ავტონმიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეა უფლებამოსილი უმაღლეს საბჭოს წარუდგინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომიტეტმა მისაღებად რომც ცნოს წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება, ვერ განხორციელდება უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 89-ე მუხლის მე-8 პუნქტის დანაწესი, რადგანაც უმაღლესი საბჭოს კომიტეტი არ არის უფლებამოსილი საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარადგინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი.

ვინაიდან, მოქმედი კანონმდებლობა უმაღლესი საბჭოს კომიტეტის მიერ თავისთვად გამორიცხავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის ინიცირებას, უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი საკანონმდებლო წინადადების მისაღებად ცნობას ვერ მიიჩნევს მიზანშეწონილად.

III. დასკვნითი ნაწილი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა პაატა ურიადმყოფელის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება „რეგიონების ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის შესახებ“ (№09/01/08-41; 22.02.2023) საკომიტეტო განხილვის შედეგად ცნო უარყოფილად.

პატივისცემით,
ვლადიმერ მგალობლიშვილი

კომიტეტის თავმჯდომარე